სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

96198323526424

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241072781

რეგისტრაციის თარიღი

20.08.2024 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16

ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას **ოცდაოთხი** წლის **ოც** აგვისტოს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.პეტრიწის ქ. #16, მომმართა **ვახტანგ მესხმა (დაბ: 17.09.1968 წელს, პირადი # 01010007398,** მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 39, ბინა 41)** შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი". მან განაცხადა, რომ სურს სანოტარო აქტის – მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებებს მიანიჭებს **ბექა იმერლიშვილს (დაბ. 08.04.1994 წელს, პირადი # 01005042496)** შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი პირი"._მე შევამოწმე "მიმნდობი პირი"-ს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მისი ნების შესაბამისად შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მინდობილობა

მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობი პირის სახელით იმოქმედოს მის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, შენობა-ნაგებობის, აშენების/მიშენების/დაშენების ნებართვების აღებასთან დაკავშირებით, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დაშენების დემონტაჟის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნებართვები, მოიპოვოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოს გამოყენების პირობების დადგენის ნებართვები, შეადგინოს მშენებლობის პროექტები, მოახდინოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, დამტკიცება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროეტის კორექტირება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, დაკავშირებით, იყოს ჩემი წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ მერიაში, ნებისმიერ არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში. შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია **განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება მიმნდობი პირის კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების ფართობის დაზუსტება, საზღვრების კორექტირება, სტატუსის შეცვლა, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის** მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), რეგისტრაციის შეწყვეტა, რეგისტრაცია, სტატუსის შეცვლა და ა.შ.

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერ გაზმომარაგების/ წყალმომარაგების /ელექტრომომარაგების კომპანიებში, მათ შორის კომპანია ,,თელასი"-ში, ,,თელმიკო"-ში, წყალკანალში, ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ში, ,,ენერგო პრო ჯორჯია"-ში, ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-ში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემაში", დასუფთავების სამსახურში, ახალ ქსელებში, ,,სილქნეტი"-ში, ,,მაგთიკომი"-ში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რათა დარეგისტრირდეს/აღირიცხოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე აბონენტად. იგი უფლებამოსილია შეიყვანოს, დაამონტაჟოს მრიცხველი და ჩაატაროს გაზმომარაგების/ წყალმომარაგების /ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, დარეგისტრირდეს ახალ აბონენტად.

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება (მათ შორის ელექტრონულად), მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს/ხელშეკრულებას, თანხმობას, ნებართვას, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 18 (თვრამეტი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, ჯამში: 26.24 ლარი.

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე